ირაკლი ლეონიძე

სამართლის მაგისტრანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნოტარიუსი მედიატორი საჯარო და კერძო სამართლის სისტემათა ზღვარზე

Abstract

The Article discusses certain aspects of the status and other professional activities of a notary mediator as a possibilities of being considered a public service servant and than the improvement the status of a notary mediator. The research issues are focused on the study and examination of the results of the process expressed during the development of a certain legal institution and legal systems.

საკვანძო სიტყვები: *ნოტარიუსი, ნოტარიუსი მედიატორი, საჯარო მოსამსახურე, პროფესიული საქმიანობა, კარიერული განვითარება.*

შესავალი

საქართველოში, სამართლებრივ ინსტიტუტებს განვითარების პრობლემური გამოწვევები ახასიათებთ. მართალია, საკანონმდებლო აქტების საკოდიფიკაციო სამუშაოებმა სამართლებრივი ინსტიტუტების რეგულირების ძირითადი ჩარჩო განავითარა, სადაც კანონმდებელმა მოიაზრა და დააწესა მოწესრიგების საბაზისო წესები, თუმცა სამართლებრივი ინსტიტუტების ფუნქციონირების დახვეწისა და არსებული ფორმის ეფექტიანი გაჯანსაღების ახალ ეტაპს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება წარმოადგენს (ქარდავა, 2019:168).

„მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღების შემდეგ, მედიაციის სამართლის ერთ-ერთი პრობლემური გამოწვევაა ამ კანონის მიღებამდე დამკვიდრებული დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ფორმა-საშუალებების სისტემატიზაცია (Dingle, Kelbie, 2013:14-15). ნოტარიუსი მედიატორის სტატუსის განმარტების საკითხი ეხმიანება შესაძლო და დაუშვებელი იურიდიული განსაზღვრებების ჩამოყალიბების მიზანს, მათ შორის „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმატიულ დანაწესს, რომელიც შესაძლოა გამოყენებულ იქნეს სანოტარო მედიაციის ინსტიტუტის სასიკეთოდ და მოქალაქეთა იურიდიული ინტერესის საპასუხო საშუალებად, კონკრეტულად, წინასწარ განსაზღვრულ შემთხვევებში: მაგ. სამემკვიდრეო საქმისწარმოების ან ნოტარიუსის, მიწის რეგისტრაციის პროექტში მონაწილეობის პროცესში (Gassen, 2011:1-2).

საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი პირის მიერ სამედიაციო უფლებამოსილების მიღება ქმნის გარკვეულ წარმოდგენებს ნოტარიუსი მედიატორის სტატუსის განმარტებისთვის.[1] სისტემათა ზღვარზე აღმოჩენილი ნოტარიუსი მედიატორის მიზიდულობა საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილებისკენ,

---

[1] Notaries of Europe (2017-2018). Mediation for Notaries Notaries for Mediation – Practical Guide. Retrieved September 4, 2021 from http://www.notaries-of-europe.eu/files/publications/guide-m%C3%A9diation-en-min.pdf

უპირველესად, სამედიაციო უფლებამოსილების საჯარო და კერძო სამართლის ასპექტებით გაჯერებითა და გენერირებით უნდა დაბალანსდეს (Gnoffo, 1997:1068). მოქმედი საკანონმდებლო რეგულირების ცვლილების შესაძლებლობა კი მოიცავს განმარტების სხვადასხვა საშუალების დიფერენცირებას. მაგალითად, მიწის რეგისტრაციის პროცესში მხარეთა დავაში მონაწილე ნოტარიუსი შესაძლოა არა მხოლოდ სამედიაციო არამედ საჯაროსამართლებრივ საქმიანობას ასრულებდეს გეოგრაფიული იურისდიქციის შესაბამისად (Padilla, 2020:6).

აუცილებელია, შევისწავლოთ ის საწყისი, რაც აფერხებს ნოტარიუსი მედიატორის სტატუსის თემატურ განსაზღვრას, რომ შემდგომში მიჩნეულ იქნეს საჯარო მოსამსახურედ, კონკრეტულად კი საჯარო მოხელედ და დავახასიათოთ ნოტარიუსი მედიატორის სტატუსი ნოტარიუსის სტატუსის თანაბარმნიშვნელოვანი ღირებულებით. კონკრეტულად შეფასდეს, საკითხი თუ რამდენად მისაღებია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედების გავრცელება ნოტარიუს მედიატორზე.

კვლევის მიზანია, ჩამოყალიბდეს რაციონალური მოსაზრება ნოტარიუსი მედიატორის სტატუსის განმარტებისა და შემდგომში შესაძლო ცვლილების შესახებ. კვლევის პროცესში გამოყენებულია საქართველოსა და გერმანიის საკანონმდებლო რეგულირების ფორმა, როგორც ლათინური ნოტარიატის საერთო ბაზისი (გოგოლაძე, 2016:34-35), ხოლო შემდგომ სანოტარო სამართლის ნორმის შინაარსობრივად მსგავსი ხასიათი. ძირითად ნაწილში გამოთქმულია რეკომენდაციები და განხილულია გერმანული მოდელის სახასიათო ასპექტები. დასკვნით ნაწილში შეფასებულია საკვლევი თემატიკის ფარგლებში დასმული საკითხები.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევაში გამოყენებულია შედარების, ანალიზის, ნორმატიული და დოგმატური მეთოდები. სანოტარო მედიაციის მოქმედი საკანონმდებლო რეგულირების დასახასიათებლად შერჩეული ნორმატიული მეთოდი წარმოაჩენს ნოტარიუსი მედიატორის სტატუსისა და საქმიანობის სამართლებრივ დანაწესს. შედარების მეთოდის საშუალებით ქართული საკანონმდებლო რეგულირება შეფასებულია გერმანული რეგულირების სისტემშედარებით ასპექტში. დოგმატური და ანალიზის მეთოდის გამოყენებით განხილულია იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებები, მათი დასაბუთებულობა და საკანონმდებლო ცვლილების აუცილებლობის საკითხი.

კვლევის შედეგები

ნოტარიუსი მედიატორი ქართულ სამართალში

ნოტარიუსი მედიატორის სტატუსი რეგულირებულია სანოტარო სამართლებრივი აქტებით.[2] მთავარ კომპონენტს წარმოადგენს ნოტარიუსის პროფესიული ნიშნით განსაზღვრული სტატუსი, რომლის საფუძველზეც დადგინდა სანოტარო მედიაციის განხორციელების უფლებამოსილება ანუ შესაძლებლობა და არა აუცილებლობა.

გასათვალისწინებელია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის რეგულირების მოქმედების სფერო და საკანონდებლო ფორმა, რომელიც აყალიბებს

[2] საქართველოს იუსტიციის მინისტრის №71-ე ბრძანება „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, მუხლი 99, 2010.

დადებით მიმღებლობას სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან თანამშრომლობის ან გამიჯვნის შესახებ ცალსახა კრიტერიუმების ჩამოყალიბების საკითხთან დაკავშირებით.

დღესდღეობით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი სახელმწიფოსა და სამართლის განვითარების/ჰარმონიზაციის სანიმუშო ილუსტრაცია და სისტემურად ეფექტური ინსტიტუტია. ის ფაქტი, რომ ნოტარიუსი არ არის საჯარო მოხელე, წარმოადგენს სახელმწიფოს დამოუკიდებლობის პერიოდამდე არსებული სინამდვილის ერთგვარ საპირისპირო სიცხადეს. საბჭოთა ეპოქაში ნოტარიუსი და საჯარო მოხელის „წინაპარი“ სახელმწიფო მოხელე თავიდანვე იმიჯნებოდნენ ერთიანი რეგულირების - სახელმწიფო საბიუჯეტო დაფინანსების მოპოვების ფარგლებში (გოგოლაძე, 2019:20), თუმცა ინსტიტუტის თვითრეგულირების მექანიზმი საკანონმდებლო დონეზე არ შემუშავებულა.

დღესდღეობით ნოტარიუსი მედიატორის სტატუსის ჰარმონიზაცია ერთ-ერთ აქტუალურ გამოწვევად რჩება. სამწუხაროდ, სანოტარო მედიაციის მიმართ მოქალაქეთა დაინტერესების ნაკლებობამ ნოტარიუსი მედიატორის სტატუსის განვითარების საკითხი დროში შეანელა და იმდენად ბუნდოვანი ხასიათი შესძინა, რომ სანოტარო მედიაციის განვითარების აუცილებლობის საკითხი უკვე აღარ დგას დღის წესრიგში. ასევე, სანოტარო მედიაციის სავალდებულო და ნებაყოფლობით ფორმებზე „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის გაუვრცელებლობით დადგინდა სანოტარო მედიაციის სამომავლო განვითარების ერთგვარი ვიწრო სტრატეგია, რაც მოიცავს მედიატორისა და ნოტარიუსი მედიატორის საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსხვავებულ ხასიათს. მნიშვნელოვანია, რომ მედიაციის განვითარება მისი სხვადასხვა ფორმის დანერგვითა და გაჯანსაღებით წარიმართოს. ამ მხრივ ინსტიტუციური განსხვავებები შესაძლოა სასიკეთო აღმოჩნდეს, თუმცა რისკები, რომ ამ პროცესის შედეგად ნასაზრდოები ცალკეული ფორმები მედიაციის კლასიკურ გაგებას დასცილდება დღემდე აქტუალურ საკითხს წარმოადგენს.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ნოტარიუსის პროფესია ლათინური ნოტარიატის საწყისს დაუბრუნდა (შენგელია, 2012:394), რამაც მისი, როგორც საჯარო მოხელედ მოაზრების დაუშვებლობის საკითხს აქტუალური საკანონმდებლო ხასიათი შესძინა. მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, იურიდიულ ლიტერატურაში არ უარყოფენ მსგავსი ტიპის ურთიერთგამორიცხვის მიზნობრიობას, მაგრამ, მაშინ, როდესაც კანონმდებელი ნოტარიუსს ანიჭებს ისეთ უფლებამოსილებას, (ცერცვაძე, 2013:68-69) რომელიც წარმოადგენს არა სანოტარო არამედ დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საქმიანობის სახასიათო ნიმუშს - ჩნდება კითხვა, შეგვიძლია კი ნოტარიუსი მედიატორის სტატუსის შესახებ გამოვთქვათ ცალკეული მოსაზრებები საჯარო მოხელედ მიჩნევასთან დაკავშირებით? ნოტარიუსი მედიატორის სტატუსის მიღება-ფორმირება შესაძლებელია ნოტარიუსის მიერ შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდგომ, ამ შემთხვევაში, საბოლოო შედეგის სახით ნოტარიუსთა პალატის ოფიციალურ ვებგვერდზე ნოტარიუსთა საძიებო სისტემაში ნოტარიუსს ელექტრონულ აღწერაში მიეთითება ინფორმაცია ნოტარიუსი მედიატორის სტატუსის შესახებ. ნოტარიუსის სტატუსის საკანონმდებლო ბაზისი, შემდგომში ნოტარიუსი მედიატორის სტატუსის რეგულირების სანოტარო-სამართლებრივ ფორმას აყალიბებს.

მაგალითად, თუ ნოტარიუსს შეუწყდება ან შეუჩერდება სტატუსი ის ვერ განახორციელებს ვერც სანოტარო და ასევე, ვერც სანოტარო სამედიაციო საქმიანობას, მაგრამ მაშინ, როდესაც ნოტარიუსს უჩერდება ნოტარიუსი მედიატორის სტატუსი, ამ შემთხვევაში ნოტარიუსს დაუბრკოლებლივ შეუძლია განახორციელოს სანოტარო საქმიანობა. ე.ი. ნოტარიუსის სტატუსი წარმოადგენს პროფესიული ნიშნით განსაზღვრულ მთავარ სტატუსს, ხოლო ნოტარიუსი მედიატორის სტატუსი მისი მინიჭების/მოპოვების

შესაძლებლობას, მათ შორის შესაძლოა ვიფიქროთ კარიერული წინსვლის, უფლებამოსილების დელეგირებისა და ძირითადი სტატუსის დამატებითი კომპონენტის საკითხზე (Macmillan, 2016:13).

ნოტარიუსი არ არის საჯარო მოხელე, ხოლო ნოტარიუსი მედიატორი უპირველესად ნოტარიუსია, რადგან სანოტარო მედიაციას სერტიფიცირებული ნოტარიუსები ახორციელებენ. შესაბამისად ნოტარიუსი მედიატორი არ უნდა წარმოადგენდეს საჯარო მოხელეს, თუმცა არსებობს სამართლის ნორმის განმარტების სხვადასხვა მეთოდები. სანოტარო მედიაციის, როგორც დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ერთ-ერთი საშუალების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭება, შემდგომში მინიჭებული უფლებამოსილების/სტატუსის თავისებურებას უნდა აყალიბებდეს და არა უპირობო მიმსგავსების ფორმას უშუალოდ ძირითად სტატუსთან. ამ მხრივ საინტერესოა სწორედ გერმანული მოდელი, სადაც სახელმწიფო მოწყობის გადანაწილება, ცალკეულ ტერიტორიებში სტატუსის სახესხვაობის თავისებურებებს აყალიბებს. აღსანიშნავია, რომ ნოტარიუსი მედიატორის საჯარო მოხელედ მიჩნევის საკითხს, უპირველესად ნოტარიუსის ძირითადი სტატუსი აყალიბებს. ნოტარიუსისა და ნოტარიუსი მედიატორის, ამ ორი სტატუსის თანაბარმნიშვნელოვანი განმარტება აუცილებელია არა მხოლოდ მედიაციის დარგის სისტემური განვითარების უზრუნველსაყოფად, არამედ სანოტარო სამართლისთვისაც.

იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს აზრთა სხვადასხვაობა შემდეგ საკითხთან დაკავშირებით: ნოტარიუსი მედიატორის სტატუსი ნოტარიუსის კარიერული წინსვლის რგოლური კომპონენტია და უფლებამოსილების მინიჭების პროფესიული ნიშნით ფორმირებული შესაძლებლობა თუ უფლებამოსილების საპასუხისმგებლო დელეგირება? შემდგომში სანოტარო მედიაციის პრინციპების დაცვითა და დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ერთ-ერთი ფორმის საქმიანობის განსახორციელებლად, როგორც ნოტარიუსის სტატუსის საფუძველზე დამოუკიდებელი სტატუსის დამკვიდრების შესაძლებლობა და არა მისი განხორციელების აუცილებლობა.

თითოეული მოსაზრების საფუძველს ისევ და ისევ ნოტარიუსი მედიატორის საქმიანობის მოქმედი საკანონმდებლო რედაქცია წარმოადგენს. რთულია ვისაუბროთ ნოტარიუსისა და ნოტარიუსი მედიატორის სტატუსის ცალკეული ნიშნების გამორიცხვის უპირობო ხასიათზე, როდესაც ნოტარიუსისა და ნოტარიუსი მედიატორის სტატუსის მიმართების საკითხი ჯერ კიდევ აჩენს კითხვის ნიშნებს სამართლებრივი ინსტიტუტის საქმიანობის ფორმებთან დაკავშირებით, სამწუხაროა, რომ სანოტარო მედიაციის მიმართვიანობის არც თუ ისე მაღალი მაჩვენებელი, ამ საკითხის ცნობადობას მხოლოდ მწირი სტატისტიკური მონაცემებით შემოფარგლავს.

საინტერესოა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „რ“ ქვეპუნქტის დათქმა, ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება: „საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე – საქართველოს ნოტარიუსთა პალატაზე, გარდა მისი გამგეობის აპარატის მოსამსახურისა“,[3] იმ ფონზე, როდესაც საქართველოს ნოტარიუსთა პალატის წევრ ნოტარიუსს კანონმდებელმა 2012 წლიდან სანოტარო მედიაციის განხორციელების უფლებამოსილება მიანიჭა, შესაბამისად, ნოტარიუსი მედიატორის საქმიანობის მიმართ დასახელებული ქვეპუნქტის მოქმედების ფარგლები თითქოსდა არ იწვევს პროფესიული ნიშნით სტატუსფორმირებული პირების ურთიერთგამორიცხვის უპირობო საფუძველს. მათ შორის მაშინ, როდესაც „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს

[3] საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, მუხლი 4, 2015.

კანონის მე-4 მუხლის მე-9 პუნქტი აწესებს საპასუხო დათქმას.[4] აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოში დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებები დღითიდღე ვითარდება. 2019 წელს მიიღეს „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონი,[5] განისაზღვრა მედიაციის კანონისმიერი სახეები და განხორციელდა ცვლილებები საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში. მედიაციის დანერგვა არ მომხდარა მისი სხვადასხვა ფორმების რეგულირების ერთობლივი აქტის შემუშავების საფუძველზე, ამიტომაც, 2019 წლამდე, 2012 წელს ნოტარიუსებს საკანონმდებლო დონეზე მიენიჭათ ნოტარიუსი მედიატორის სტატუსის მიღებისა და საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობა. „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებით აღნიშნული ფუნქცია ოფიციალურად დადგინდა, როგორც ნოტარიუსის სტატუსის განუყოფელი ნაწილი. კვლევის პროცესში დასმული კითხვა საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ფერხდება ნოტარიუსი მედიატორის საჯარო მოხელედ მიჩნევის სამართლებრივი საკითხი.

სანოტარო მედიაციის განხორციელებისთვის აუცილებელია სანოტარო მედიაციის პრინციპების დაცვა, შესაბამისად, სანოტარო მედიაციის განხორციელება წარმოადგენს სანოტარო საქმიანობას ზოგადად, თუმცა არა ვიწრო გაგებით. სანოტარო მედიაცია შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც დამოუკიდებელი და პრინციპების დონეზე გამიჯნული საქმიანობა, რომელსაც ენიჭება სანოტარო საქმიანობის სტატუსი, საკანონმდებლო ნორმების არსიდან გამომდინარე. სანოტარო საქმიანობა, სანოტარო მედიაციის განხორციელება და საჯარო სამსახური, კონკრეტულად კი საჯარო მოხელის სტატუსი საქმიანობის სპექტრულ თანაკვეთაში, პროფესიული ნიშნით განსაზღვრული საქმიანობის საინტერესო მიმღებლობას ამჟღავნებს, თუმცა საკანონმდებლო რეგულირების არსებული ფორმა მყარად დადგენილ განსხვავებულ მოცემულობას ქმნის. ნოტარიუსი მედიატორის საქმიანობის ფორმის განხილვა შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედების ფარგლებში. საჯარო მოხელე წარმოადგენს საჯარო სამსახურის განმახორციელებელ საჯარო მოსამსახურეს, შემდგომში სახელმწიფო საქმიანობის ერთ-ერთი შტოს/სამსახურის განმახორციელებელ პირს.

ამ კონსტრუქციაში ნოტარიუსის სტატუსის მატარებელი ფიზიკური პირი საჯარო მოხელედ არ მიიჩნევა უპირველესად მე-4 მუხლის შესაბამისი დათქმის საფუძველზე. მყარად დადგენილი კონსტრუქციის გავლენით ნოტარიუსი მედიატორის სტატუსი იბოჭება მე-4 მუხლის პირველი ნაწილის „რ“ ქვეპუნქტის დათქმით აღმოჩნდება რა სახელმწიფო მოსამსახურის ზოგად სივრცეში. ნოტარიუსთა პალატის გამგეობის აპარატზე „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის გავრცელებით კანონმდებელმა შეინარჩუნა საჯარო სამსახურის კავშირი სანოტარო სფეროსთან და მისი საქმიანობის ნაწილის ამ კანონის ფარგლებში მოაზრებით შექმნა პრეცედენტი რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირის წევრების პროფესიული ნიშნით სამართლებრივი დანაწილების საკითხი არ წარმოადგენს ინსტიტუტისა და სტატუსის დანაწევრების უპირობო, უარყოფით ფორმას. ჰიპოთეტური დათქმა სანოტარო მედიაციის განმახორციელებელ პირებზე „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედების გავრცელების შესახებ, საინტერესო იქნება იმ მხრივ, რომ ეს დათქმა გაამყარებს ნოტარიუსი მედიატორის სტატუსს და უზრუნველყოფს დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებების განვითარების ეფექტურობას. მიუხედავად, დადებითი პერსპექტივისა, არსებობს საფრთხე, რომ ნოტარიუსის სტატუსის ფარგლებში ნებისმიერი ჩარევა, შემდგომში საბიუჯეტო-საფინანსო, სამართლებრივი თუ სოციალური შეზღუდვების დაწესების წინაპირობა გახდება (ტურავა, 2016:12-13). ამიტომაც, აზრთა

---

[4] საქართველოს კანონი „ნოტარიატის შესახებ“, მუხლი 4, პუნქტი 9, 2009.

[5] საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“, მუხლი პირველი, 2019.

სხვადასხვაობის დილემის წინაშე აღმოჩენილი და რეგულირებული სანოტარო მედიაციის სამართლებრივი ინსტიტუტი ითრგუნება ნოტარიუსის სტატუსის იმპერატივის გავლენით. ნოტარიუსი მედიატორის საქმიანობის ანაზღაურების საჯაროსამართლებრივი მიზნის ჰიპოთეტური შესაბამისობა, ნოტარიუსის დაფინანსების მოქმედ წესს რადიკალურად ემიჯნება, ამიტომ, დაფინანსების წესის ცვლილებას მხოლოდ უარყოფითი ეფექტის გავლენა აქვს ვიდრე დადებითი.

ნოტარიუსი მედიატორის სტატუსის რეგულირების სამართლებრივი ჩარჩო ნოტარიატის ბაზაზე და საჯარო მოხელედ მიჩნევის დამაბრკოლებელი გარემოებები

სანოტარო მედიაცია ქართული ნოტარიატის სამართლებრივ ბაზაზე დამკვიდრდა. ნოტარიუსი მედიატორის სტატუსი და საქმიანობის ფორმა მკაფიოდ დაუკავშირდა ნოტარიუსის სტატუსს. ნოტარიუსისა და საჯარო მოხელის საკანონმდებლო რეგულირების ფორმამ აჩვენა, რომ ეს ორი სტატუსი ამ ეტაპისთვის სამართლებრივი ინსტიტუტის ეფექტური ფუნქციონირების საკითხს მათ შორის უშუალო მიჯნის არსებობაში ხედავს, რაც არ გულისხმობს სახელმწიფო კონტროლის უგულებელყოფასა თუ ინსტიტუციური დამოუკიდებლობის ახალი სტანდარტის შემოღებას.[6] ნოტარიატის ისტორია ქართულ რეალობაში საქმიანობის სამართლებრივი ფორმის პატივისცემის მიმართ აყალიბებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახით საქმიანობის უფლებას.

სამართლებრივი ინსტიტუტების ეფექტური ფუნქციონირების საკითხისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია რომ ამ ინსტიტუტის განმახორციელებელმა უფლებამოსილმა პირმა მიიღოს/შეიმუშავოს თავისი სტატუსის ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად ყველა საჭირო საშუალება და დაუბრკოლებლივ განახორციელოს საქმიანობა. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი ქმნის: დადებით სოციალური-სამართლებრივ ფონს, რეგულირების თანამშრომლურ ფორმას, შემდგომში სტაბილურობისა და ჰარმონიზაციის საფუძველს, რისთვისაც საჯარო სამსახურის ბიურო ზრუნავს რომ ეს მონაპოვარი გათავისებული და განხორციელებულ იქნეს კანონის მოთხოვნათა დაცვით. მართალია, არსებობს პრობლემები, სტერეოტიპები თუ სხვა სახის რადიკალური მოსაზრებები (შენგელია, 2015:357), თუმცა ეს ხელს არ უნდა უშლიდეს თანამშრომლობაზე დაფუძნებული სტატუსფორმირებული პროფესიული მოხელეების ურთიერთობას, თუნდაც დროებითს - ცალკეული რეფორმის ფარგლებში. აღსანიშნავია, რომ ნოტარიუსი მედიატორის საჯარო მოხელედ მიჩნევის საკითხს ყველაზე მეტად არა სანოტარო მედიაციის კომპონენტი, არამედ ნოტარიუსის სტატუსთან დაკავშირებული მოსაზრებები ართულებს. (სუხიტაშვილი, 2012:13-14) საკვლევი თემატიკის ფარგლებში დასმული ჰიპოთეტური შესაძლებლობა უმთავრესად, აღიქმება, როგორც ჩარევა და არაპირდაპირი რეგულირების რადიკალური ფორმა.

საქართველოში დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებების დანერგვის ისტორია ათწლეულს ითვლის. ამ დროის განმავლობაში სხვადასხვა სამართლებრივი ინსტიტუტის საკანონმდებლო ბაზაზე ან დამოუკიდებელი თვითრეგულირების ფორმით ჩამოყალიბდა დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ცალკეული ფორმა-საშუალებები, ხოლო 2019 წლიდან „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებით ერთმანეთისგან გაიმიჯნა ამ კანონის რეგულირების სფერო და მედიაციის სხვა ფორმები.

---

[6] შეად. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2000 წლის 25 იანვრის №1/1/107 გადაწყვეტილება, პარაგრაფი III.

დღესდღეობით, მედიაციის სამართლებრივი ინსტიტუტის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება და წახალისება ურთიერთთანამშრომლობის დღის წესრიგს წარმოადგენს. სამუშაო ფორმატი უკვე მოქმედი რეგულირების გაჯანსაღებას გულისხმობს. ადამიანის უფლებების დაცვის უალტერნატივო საშუალების ძიება სასამართლო გადატვირთულობის პრობლემას უკავშირდება, რომლის დასარეგულირებლად დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებების დანერგვის აუცილებლობა და მნიშვნელობა წლების განმავლობაში გამოიკვეთა.

სანოტარო მედიაცია არ არის საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრული საქმიანობის განხორციელების აუცილებელი კომპონენტი, არამედ, წარმოადგენს მისი მიღება-მინიჭების შესაძლებლობას და ამ შესაძლებლობის წახალისება, განვითარება, კონსტრუირება მისასალმებელი და განმავითარებელია ნოტარიუსებისთვის, თუმცა ჩნდება ნოტარიუსის სტატუსთან დაკავშირებული პასუხისმგებლობისა თუ საქმიანობის ფორმების, ანაზღაურების წესის საბაზისო საკითხები, რომელიც პროფესიული საქმიანობის სტაბილურობის აღქმის კონცეფციას - ნოტარიუსი მედიატორის საჯარო მოხელედ მიჩნევის დაუშვებლობის საკითხს უკავშირებს (Bondy, Doyle, 2011:12).

ამიტომ, სანოტარო მედიაციის განვითარების შეფერხებამ გამოწვია ის რომ საკითხის მიმართ მოქალაქეთა და სახელმწიფოს დაინტერესება შენელდა. ცალკეულ შემთხვევებში გამოთქმულია ცალკეული მოსაზრებები სანოტარო მედიაციის გაუქმების შესახებ. ვფიქრობთ, რომ სანოტარო მედიაციის გაუქმება არ წარმოადგენს სამომავლოდ მისაღწევი შედეგების დადგენის თვითმიზანს და მნიშვნელოვანია არსებული ფორმის გადახალისება, უშუალოდ ნოტარიუსის სტატუსის ფარგლებში და სანოტარო სამართლის საკანონმდებლო ბაზაზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ერთ-ერთი ფორმის პრინციპებისა და განმახორციელებელი პირის სტატუსის ჰარმონიზაციით (Milton G. Valera, 1999:953-954). სწორედ ამიტომ, ნოტარიუსი მედიატორი საჯარო და კერძო სამართლის სისტემათა ზღვარზე მიიჩნევა არა სამედიაციო არამედ სანოტარო საქმიანობის განმახორციელებელ პირად, რაც მედიაციის პრინციპების სანოტარო სამართლის პრინციპებით გადაფარვის საფრთხეს წარმოადგენს.

ნოტარიუსი მედიატორის სტატუსისა და საქმიანობის რეგულირების გერმანული მოდელი

გერმანიის სახელმწიფოს ფედერაციული მოწყობა და ხელისუფლების დანაწილების სისტემა საჯარო მმართველობისა და სანოტარო საქმიანობის თანაფარდობის მრავალფუნქციურ პლატფორმას აყალიბებს. ნოტარიუსის სტატუსი და საქმიანობის ფორმა შეიძლება გაიმიჯნოს ზოგად სახელმწიფოებრივ მოთხოვნათა და ტერიტორიათა (მიწების) დანაწილების დეცენტრალიზაციის ვიწრო მოთხოვნათა ფონზე. სახელმწიფო გამოცდის ჩაბარება აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს დაინტერესებული პირის სურვილზე, რომ გახდეს ნოტარიუსი.[7] ნოტარიუსები ძირითადად საკუთარ ბიუროებში ეწევიან სანოტარო საქმიანობას, თვითდაფინანსების პრინციპით, თუმცა ბადენ-ვუტენბერგის მიწა გამორჩეულია იმით, რომ ამ ტერიტორიაზე დასაქმებული ნოტარიუსი ანაზღაურებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან იღებს. შესაბამისად, სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე განსხვავებულია ნოტარიუსთა რაოდენობრივი გადანაწილება მოსახლეობის სიმჭიდროვის მიხედვით. „ნოტარიატის შესახებ“ გერმანიის კანონის პირველი პარაგრაფი ნოტარიუსს განმარტავს, როგორც საჯარო ძალაუფლების მატარებელ

---

7 Federal Code for Notaries. (2017). The National Rules and Regulations for German Notaries [“Bundesnotarordnung” (BNotO)]. Retrieved August 12, 2021 from http://www.gesetze-im-internet.de/englisch_bnoto/index.html Par. 1.

უფლებამოსილ პირს, რომელიც ინიშნება იურიდიული დახმარების სფეროში ამოცანათა შესასრულებლად.

ნოტარიუსის სტატუსი განისაზღვრება გერმანიის კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად კომპეტენციისა და უფლებამოსილების საკანონმდებლო ჩარჩოს ფარგლებში - სანოტარო საქმიანობის შინაარსის თანმდევი და არა უპირატესი დათქმით. ამიტომ, ნოტარიუსის მიერ მედიაციის განხორციელება ფართო გაგებით, წარმოადგენს მედიატორის მიერ სანოტარო მედიაციის წარმართვას სანოტარო მედიაციის პრინციპების დაცვით. ნოტარიუსი არ განიხილება, როგორც ძირითადი სტატუსის მქონე პირი, რომელიც განახორციელებს სანოტარო ფუნქციას, არამედ მოიაზრება, როგორც სამსახურეობრივი საქმიანობის სფეროში მოქმედი ნოტარიუსი მედიატორი. ამ შემთხვევაში ნოტარიუსი მედიატორის უპირველეს ამოცანას სანოტარო მედიაციის პრინციპების უზრუნველყოფა წარმოადგენს, რაც არ გულისხმობს სანოტარო სამართლის ნორმისა თუ ძირითადი პრინციპების დარღვევის შესაძლებლობას. საინტერესოა ადვოკატის, შემდგომში მედიაციის პროცესში ადვოკატ-წარმომადგენლისა და ნოტარიუსის სტატუსის სახეცვალება ცალკეული მოქმედების საქმისწარმოების ფარგლებში.

ნოტარიუსის სტატუსის გადაქცევა ნოტარიუსი მედიატორის სტატუსის მატარებელ პროფესიული ნიშნის მქონე კატეგორიად არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს მხარეთა მიმართ მიუკერძოებლობის საკითხთან დაკავშირებით.[8] ნოტარიუსის საქმიანობის სხვადასხვა სფეროს არსებობის საფუძველი, შემდგომში ნოტარიუსის სტატუსის გადაქცევის მრავალფეროვანი კონსტრუირების საფუძველია. მედიაციის პროცესში ნოტარიუსს შეუძლია, როგორც ნოტარიუს-ადვოკატის, პროფესიული ნიშნის მიღმა არსებული ობიექტური მრჩევლის ან მედიატორის სამსახურეობრივი მიზნითა და პროფესიული სტატუსის ფარგლებში გასცეს რჩევა/კონსულტაცია. აღსანიშნავია, რომ გერმანიის სამართლებრივ რეალობაში მედიაციის დანერგვამ სანოტარო მედიაციის გააზრების თვალსაზრისით ტერმინოლოგიური ჩამოყალიბების გარკვეული ისტორია განვლო. მაგალითად მედიაცია დიფერენცირდა, როგორც უშუალოდ სანოტარო მედიაციის დამოუკიდებელი პროცესი, ასევე სანოტარო ფუნქციის განხორციელების ეტაპზე ჩართული / მიმაგრებული სამართლებრივი ელემენტი.[9]

საბოლოოდ, ნოტარიუსის სტატუსის მოქნილმა მექანიზმმა სანოტარო მედიაციის განხორციელების საკითხი ნოტარიუსების ნებასა და თანამდებობის ფორმაცვალების შესაძლებლობას დაუკავშირა. ამ მხრივ ნოტარიუსი შეიძლება საჯარო მოხელედაც განვიხილოთ ყოველ კონკრეტულ მაგალითზე სანოტარო ფუნქციის გათვალისწინებით.

საკითხის უკეთ აღსაქმელად მოვიყვანოთ ჰიპოთეტური მაგალითი: მოქალაქემ მიმართა გერმანიის ერთ-ერთი ქალაქის ნოტარიუსს სამემკვიდრეო საქმისწარმოების საკითხთან დაკავშირებით, სამკვიდრო მოწმობის გაცემის მოთხოვნით.[10] ნოტარიუსმა გამოარკვია, რომ მოქალაქისა და მისაღები სამკვიდროს მისამართი განსხვავებული დამისამართებისაა, მაშინ, როდესაც მოქალაქე ადასტურებს თავისი და სამკვიდროს მისამართის იდენტურობას. ასევე მოქალაქეს აქვს დავა სხვა კანონისმიერ მემკვიდრესთან

---

8 Lawyers in Germany. (2019). Notary Services in Germany, Retrieved August 12, 2021 from https://www.lawyersgermany.com/notary-services-in-germany

9 National Notary Association. (2011). Why Notarization Is More Relevant and Vital Than Ever. p. 4-5. Retrieved September 4, 2021 from https://www.nationalnotary.org/file%20library/nna/knowledge%20center/special%20reports/white_paper_importance_of_notarization.pdf

10 German Civil Code [BGB], Par. 925.

სამკვიდროდან წილის მიღების თაობაზე. ამ შემთხვევაში სანოტარო ფუნქციის განხორციელების პრიმატის ფარგლებში ნოტარიუსი საქმიანობას ახორციელებს, როგორც საჯარო ხელისუფლების მატარებელი პირი - ნოტარიუსის პრიმატით, მასში ასოცირებული საჯარო მოხელისა და მედიატორის სტატუსის შეთავსების პერსპექტივით. საქართველოში მსგავსი სახის უფლებამოსილების გადაცემა დამაბნეველი და ორაზროვანი აღმოჩნდება, რადგან ქართულ სოციალურ-სამართლებრივ რეალობაში ნებისმიერი საქმიანობის მიმართ უმთავრესად არა საქმიანობის განხორციელების უხარვეზობა, არამედ კონტროლის მექანიზმის არსებობის სიმკვეთრე სჭარბობს საქმიანობის მარეგულირებელი სამართლის ნორმების დადგენის ჭეშმარიტებას. აღსანიშნავია, სანოტარო მედიაციის განხორციელების კანონით დადგენილი სამართლებრივი საფუძველები, რომლებიც თავისი არსით გერმანულ რეალობაში საჯარო ხელისუფლების მატარებელი სუბიექტის საქმიანობის განმსაზღვრელი აქტების დეცენტრალიზაციის მიმანიშნებელია: „ნოტარიატის შესახებ“ გერმანიის კანონი, გერმანიის მთავრობის მიერ მიღებული დირექტივები, ნოტარიუსთა პალატის დირექტირები, გერმანიის მიწების კანონმდებლობა მომრიგებელი ორგანოების შესახებ და გერმანიის ფედერალური სანოტარო პალატის რეკომენდაცია.

სანოტარო მედიაციის ფუნქციონირებას გერმანიაში სახელმწიფო მოწყობის ეფექტური მართვისა და საჯარო მმართველობის ღიაობის საფუძველი გააჩნია, მათ შორის ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს სტატუსი, გერმანელ ნოტარიუსებს საქმიანობის მაღალ სტანდარტს უწესებს. განსაკუთრებით, აღსანიშნავია სახელმწიფო ინსტიტუტების ნდობა ნოტარიუსების მიმართ, როდესაც მათ გადასცემენ უფლებამოსილებების საკანონმდებლო პაკეტს. სანოტარო მედიაციის უზრუნველმყოფი და მასტიმულირებელი კომპონენტები გენერირდება, როგორც ფედერალური კანონმდებლობის, ასევე მიწების რეგულირების საფუძველზე, მათ შორის ევროკავშირის დირექტივებისა და სამართლებრივი აქტების გავლენით, სამართლებრივი სივრცე ღია და გამჭვირვალეა. სანოტარო საქმიანობის ფუნქციონირების საკითხის მიმართ პრობლემების აღმოფხვისა და პრევენციის რამდენიმე ეტაპის მქონე მექანიზმი არსებობს, რაც პირველ რიგში სანოტარო მედიაციის განხორციელების სამართლებრივი საფუძვლის მრავალფეროვნებაში გამოიხატება.

ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებითა და ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციით ნოტარიუსი მედიატორის სტატუსისა და საქმიანობის რეგულირების საკითხი აქტუალურ ხასიათს იძენს. გერმანული საკანონმდებლო მაგალითის შესწავლის საფუძველზე ცალსახაა ნოტარიუსი მედიატორის სტატუსის ეროვნული და საერთო რეგულირების მნიშვნელობა, თუმცა ქართულ რეალობაში ნოტარიუსი მედიატორის სტატუსის განვითარება მხოლოდ ნოტარიატის ბაზაზე დაფუძნებითა და გენერირებით არ უნდა დასრულდეს. ქართულ რეალობაში, მოსაზრებები ნოტარიუსი მედიატორის სტატუსის ჰარმონიზაციის შესახებ და საჯარო მოხელედ მიჩნევის დაუშვებლობის შედარებითსამართლებრივი ასპექტები პრობლემურ, თუმცა დროში მილევად ხასიათს იძენს. მოქალაქეთა დაინტერესების ნაკლებობა ინსტიტუტის სიცოცხლისუნარიანობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. სასურველია, ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პროცესში აქამდე დანერგილი ინსტიტუტებისა და უფლებამოსილი პირების სტატუსის ჰარმონიზაცია დაემთხვეს ახალი სამართლებრივი ინსტიტუტების დამკვიდრებას ისე, რომ ერთმა მეორე არ გამორიცხოს მოქმედი კანონმდებლობიდან.

დასკვნები და რეკომენდაციები

ნათელია, რომ გარკვეული დროის განმავლობაში ჩამოყალიბდა სამართლებრივი ინსტიტუტების სტატუსფორმირებული პროფესიული მოსამსახურის კლასი, რომელთაც განვითარების არაერთგვაროვანი საკანონმდებლო ხასიათი და საერთო სოციალური ნიშნები გააჩნდათ. ასევე, სახელმწიფოში მიმდინარე პოლიტიკური, სოციალური, კულტურული თუ სხვა სახის მოვლენები სამართლებრივი ინსტიტუტების / სტატუსფორმირებულ პროფესიულ მოსამსახურეთა სახეობრიობას არასამართლებრივი ასპექტებით აჯერებდა (ხარიტონაშვილი, 2019:26-27). ნოტარიუსი მედიატორის სტატუსისა და საქმიანობის ფორმის განსაზღვრის საკითხის „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის რეგულირების ფარგლებში მოაზრებას სამართლებრივ გამოწვევებთან ერთად სოციალური წინათგრძნობები და ცალკეულ პირთა უარყოფითი წარმოდგენები აფერხებს. მიუხედავად გამოწვევებისა, მსგავსი სახის დათქმის არსებობის შესაძლებლობას მიანიშნებს საქართველოს ნოტარიუსთა პალატის გამგეობის აპარატზე ამ კანონის მოქმედების გავრცელება, მაგრამ კითხვის ნიშნებს აჩენს ნოტარიუსი და ნოტარიუსი მედიატორის სტატუსის დაკონკრეტების სავარაუდო შესაძლებლობის საკითხი. პრაქტიკული თვალსაზრისით შესაძლოა არა ორი არამედ ერთი ძირითადი სტატუსი არსებობდეს - ნოტარიუსის პროფესიული საქმიანობის პრიმატით. რეკომენდაციის სახით შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ პრობლემური გამოწვევის რეგულირების შემდეგი მექანიზმი:

დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებებთან დაკავშირებით, სასურველია უფლებამოსილი პირების მიერ განხორციელდეს მედიაციის, სანოტარო მედიაციისა და სხვა საკანონმდებლო ფორმების შედეგიანობისა და ფუნქციონირების სამართლებრივი კვლევა. დადგინდეს არსებული ფორმების კანონშესაბამისობა და რეგულირების ფორმის ერთგვაროვნების შემუშავების შესაძლებლობები. საკანონმდებლო კვლევის საფუძველზე განისაზღვროს დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებების კვლევის შედეგების შეფასება. მათ შორის ჩამოყალიბდეს სანოტარო მედიაციის კონცეპტუალური თავსებადობა სამართლებრივი ინტიტუტის ფორმითა და რეგულირების სახასიათო ასპექტების გათვალისწინებით.

„მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონისა და იუსტიციის მინისტრის №71-ე ბრძანების საკანონმდებლო რეგულირების საფუძველზე სასურველია შემუშავდეს ნოტარიუსი მედიატორის სტატუსისა და საქმიანობის რეგულირების მკაფიო და ქმედითი პოზიციები. განსაკუთრებით ნოტარიუსი მედიატორის სტატუსის ჰარმონიზაციის საკითხთან დაკავშირებით, რაც შეიძლება გამოიხატოს სტატუსის მოპოვების შემდგომი ცალკეული მოქმედებების დაგეგმვასა და სანოტარო მედიაციის პროცესის წახალისებაში (შვახტგენი, 2002:5). დაიგეგმოს სანოტარო მედიაციის განვითარების ახალი ეტაპისა და უწყებრივი კომპეტენციის პროცესები. სანოტარო მედიაცია და საჯარო სამსახურის საკანონმდებლო რეგულირების მოქმედი რედაქციები კომბინირებული ფორმით ჩამოყალიბდეს კონკრეტული რეფორმის ფარგლებში (ქარდავა, 2019:168-169), თანამშრომლობითი საწყისის სიმკვეთრით. (სუხიტაშვილი, 2012:13). მაგალითად, უფრო მეტად თავსებადი ფორმით ჩამოყალიბდეს მიწის რეგისტრაციის რეფორმის ფარგლებში ნოტარიუსის და მუნიციპალური ორგანოს თანამშრომელი საჯარო მოხელის მიერ მოქალაქისათვის რჩევის, კონსულტაციისა და დახმარების გაწევის საკითხი, არა სტატუსის იგივეობის არამედ თანამშრომლობის წახალისების მიზნით. მათ შორის საჯარო მოხელედ მიჩნევის პრეზუმფცია.

სტატისტიკური მონაცემების შესწავლის მიზნით შესაძლოა დახარისხდეს სანოტარო მედიაციის სავალდებულო და ნებაყოფლობითი ფორმის განხორციელების

რაოდენობრივი მაჩვენებლები, რადგან დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებების განვითარებას კონსტიტუციური მნიშვნელობა გააჩნია. ამიტომ, მომწესრიგებელი და გამოსაყენებელი სამართლის ნორმების შეფასებისას უნდა გაირკვეს დაცვის ღირსი უპირატესი ინტერესი მედიაციის პროცესში მონაწილე მხარეებისთვის.[11] რთულ სამართლებრივ საკითხთა შესაფასებლად სანოტარო მედიაციის მნიშვნელობა ჯერ კიდევ შეუმჩნეველია, რადგან სანოტარო საქმისწარმოების პროცესში მონაწილე მოქალაქეები და უფლებამოსილი პირები დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ცალკეულ საშუალებებს ნაკლებ უპირატესობას ანიჭებენ. მსგავსი დამოკიდებულება პირდაპირპროპორციულად აისახება სასამართლო დავათა რაოდენობის ზრდასა და გადატვირთულობის პრობლემაზე.

სანოტარო მედიაცია საქართველოში 2012 წლიდან ფუნქციონირებს, 2019 წელს მიიღეს საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“,[12] „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს 2015 წლის 27 ოქტომბრის კანონის ამოქმედებამ სამართლებრივ სივრცეში საჯარო მმართველობისა და ინსტიტუტების ფუნქციონირების ახალი მნიშვნელობა აითვალა, რომელიც ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში, გულისხმობს ეროვნული კანონმდებლობის ევროკავშირის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესაძლებლობას.

აღსანიშნავია საკანონმდებლო სიახლეები, რომელთაც რეგულირების სიმძაფრით გასდევთ წარსული გამოცდილების გამოწვევები. სამართლებრივი ინსტიტუტები ზოგადად და უფლებამოსილი პირები ვიწრო გაგებით ხშირად ფერხდებიან სხვადასხვა ფორმის პროფესიული თანამშრომლობისას. პროფესიული ნიშნით განსაზღვრულ პირთა საქმიანობის ჩაკეტილობა, ეპოქის გამოცდილებასთან ერთად და დამოუკიდებლობის შემდგომ ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს (სუხიტაშვილი, 2012:5-7).

საჯარო სამსახურის ბიუროს საქმიანობის მიზნები და ამოცანები ვფიქრობ, თავის მხრივ პროფესიული ნიშნით განსაზღვრული სამართლებრივი ინსტიტუტების განმახორციელებელ პირთა თანამშრომლობის გაძლიერებასა და დაახლოებას ისახავს მიზნად. ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება კი დასახელებული საკითხის სამართლებრივი სიცხადის გარანტია.

სანოტარო მედიაციის საკითხთან დაკავშირებული გამოწვევები საინტერესო აღმოჩნდა, როგორც ქართული ისე გერმანული სამართლებრივი რეგულირების შესწავლის გათვალისწინებით. კვლევის პროცესში გამოიკვეთა ნდობისა და პროფესიული ღიაობის განსხვავებული აღქმა, მათ შორის კონტროლის მექანიზმის აუცილებლობის მოთხოვნის სიმკვეთრე ქართულ რეალობაში. განსაკუთრებით კი სახელმწიფო მოწყობის წესის გავლენა სამართლებრივი ინსტიტუტისა და სტატუსის განსაზღვრის საკითხთან დაკავშირებით. ვაცნობიერებ რა კვლევის ფარგლების მრავლისმომცველ ხასიათს, შესაძლებლობებისა და მიზანშეწონილობის ფარგლებში ჩამოვაყალიბე ნოტარიუსი მედიატორის სტატუსისა და საქმიანობის ცალკეული თავისებურებები ქართულ სამართალში, როგორც საჯარო მოხელედ მიჩნევის დაუშვებლობის წინაპირობა (გერმანიის საკანონმდებლო რეგულირების ფორმის შედარებითსამართლებრივი ანალიზის საფუძველზე).

---

[11] National Notary Association. (2021). The Enduring Benefits of Interstate Recognition of Notarial Act Laws. p. 6. Retrieved September 4, 2021 from https://www.nationalnotary.org/file%20library/nna/knowledge%20center/special%20reports/white_paper_importance_of_notarization.pdf

[12] საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“, მუხლი 2, 2019.

საკანონმდებლო პერსპექტივებისა და წინმსწრები აზრის ფორმირების საკითხი სანოტარო მედიაციას ქართულ რეალობაში ჯერ კიდევ სანოტარო საქმიანობის ქვეკომპონენტად მოიაზრებს, სტატუსის სიხისტე კი ხელს უშლის საჯარო მოხელედ მოაზრების სამართლებრივ შესაძლებლობებს.[13] ქართულ სამართლებრივ რეალობაში იურიდიული დახმარების სფეროში ცალკეული სამართლებრივი ინსტიტუტები ფუნქციონირებენ მოქალაქის მიმართვის საფუძველზე, თუმცა, ერთმანეთთან, როგორც სამართლებრივ ინსტიტუტებთან მკაფიო თანამშრომლობის ბაზისი ზოგად-სამართლებრივ საკითხთან დაკავშირებით ჯერ კიდევ არ გააჩნიათ - ყოველ კონკრეტულ შემთხვევებში სტატუსისა და საქმიანონის ზოგადი პრობლემის არსებობის თვალსაზრისით.

ბიბლიოგრაფია

საქართველოს კანონი „ნოტარიატის შესახებ“, 2009.

საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, 2015.

საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“, 2019.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის №71-ე ბრძანება „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, 2010.

საქართველოს მთავრობის №627-ე დადგენილება „საჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფციის დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“, 2014.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2000 წლის 25 იანვრის №1/1/107 გადაწყვეტილება.

გოგოლაძე, მ., მარიამიძე გ. (2016). სანოტარო სამართალი. თბილისი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“.

გოგოლაძე, მ. (2019). ნოტარიატის განვითარების ისტორიიდან. *ჟურნალი ახალგაზრდა ადვოკატები*, ნაწილი პირველი, თბილისი, ახალგაზრდა ადვოკატების გამოცემა.

სუხიტაშვილი, დ. (2012). სანოტარო სამართალი. თბილისი. გამომცემლობა „თბილისი“.

სუხიტაშვილი, დ. (2012). სანოტარო მოქმედების გამო სარჩელის განსჯადობის შესახებ. *ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“*, №3, თბილისი, საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის ერთობლივი გამოცემა.

ტურავა, პ. (2016). ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი. თბილისი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“.

ქარდავა, ე. (2019). *სერგო ჯორბენაძე 90, სტატიათა კრებული.* თბილისი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

შენგელია, ე. (2012). *რომან შენგელია 70, საიუბილეო კრებული: სამართლის პრობლემები.* თბილისი, გამომცემლობა „სამართალი“.

შენგელია, რ., შენგელია, ე. (2015). საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი. თბილისი. გამომცემლობა „მერიდიანი“.

შვახტგენი, ა. (2002). ნოტარიუსის საქმიანობა სამოქალაქო საზოგადოების საკეთილდღეოდ, მთარგ. მაკა ტყებუჩავა, *საქართველოს ნოტარიუსთა პალატის სამეცნიერო პრაქტიკული ჟურნალი „საქართველოს ნოტარიატი“*, №3-4, თბილისი, საქართველოს ნოტარიუსთა პალატის გამოცემა.

ცერცვაძე, გ. (2013). მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში. თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა.

ხარიტონაშვილი, ნ. (2019). მედიაცია ქართულ ნოტარიატში. *ჟურნალი „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწდეული 2018-2019“*, სპეციალური გამოცემა, თბილისი, თსუ-ის გამომცემლობა.

---

[13] საქართველოს კანონი „ნოტარიატის შესახებ“, მუხლი 2, 2009.

Bondy, V., Doyle M. (2011). Mediation in Judicial Review: A Practical Handbook for Lawyers. London, The Public Law Project, p. 12.
Dingle, J., Kelbie, J. (2013). The Mediation Handbook 2013 – 2014. London, London School of Mediation, p. 14-15.
Federal Code for Notaries. (2017). The National Rules and Regulations for German Notaries ["Bundesnotarordnung" (BNotO)]. Retrieved August 12, 2021 from http://www.gesetze-im-internet.de/englisch_bnoto/index.html
German Civil Code [BGB].
Gassen, D. (2011). German Civil Law Notaries and the Commercial Register. Königswinter, BNotK, p. 1-2.
Gnoffo, V. (1997). Notary Law and Practice for the 21st Century: Suggested Modifications for the Model Notary Act. *The John Marshall Law Review 1063*. Vol. 30, Issue 4, p. 1068.
Lawyers in Germany. (2019). Notary Services in Germany. Retrieved August 12, 2021 from https://www.lawyersgermany.com/notary-services-in-germany
Macmillan, R. (2016). A Practical Guide for Mediators. London, Macmillan Keck Attorneys & Solicitors, p. 13.
Milton G. Valera. (1999). New Technology and a Global Economy Demand That American Notaries Better Prepare for the Future: Upgrading the Current Common Law System May mean Establishing a New Class of Cyber Professional. *John Marshall Law Review*. Vol. 32, p. 953-954.
National Notary Association. (2011). Why Notarization Is More Relevant and Vital Than Ever. p. 4-5. Retrieved September 4, 2021 from https://www.nationalnotary.org/file%20library/nna/knowledge%20center/special%20reports/white_paper_importance_of_notarization.pdf
National Notary Association. (2021). The Enduring Benefits of Interstate Recognition of Notarial Act Laws. p. 6. Retrieved September 4, 2021 from https://www.nationalnotary.org/file%20library/nna/knowledge%20center/special%20reports/white_paper_importance_of_notarization.pdf
Notaries of Europe (2017-2018). Mediation for Notaries Notaries for Mediation – Practical Guide. Retrieved September 4, 2021 from http://www.notaries-of-europe.eu/files/publications/guide-m%C3%A9diation-en-min.pdf
Padilla, A. (2020). Notary Public Handbook. Sacramento, Secretary of State Notary Public Section, p. 6.